ქართული ენა და ლიტერატურა

პროგრამა XI კლასისათვის

ქართული ენა:

სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, დიალექტიზმები, არქაიზმები, ნეოლოგიზმები, ნასესხები სიტყვები, ბარბარიზმები; სიტყვათა მყარი შეხამებანი; წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები, მარტივი და რთული სიტყვები.

მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელი, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ზედსართავ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; არსებითი სახელი მსაზღვრელად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება; ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, გვარი, ქცევა, კონტაქტი; სახელზმნა; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებული.

წინადადება; სინტაქსური წყვილები, სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით; წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადების სახეები აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადება, ერთგვარ წევრთა შეერთება; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული წინადადება, რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

ქართული ლიტერატურა:

მოსწავლე უნდა იცნობდეს მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელ ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინებს:

დრამა, ეპოსი, ლირიკა; პოეზია, პროზა; ანდაზა, აფორიზმი, ბიოგრაფია, ელეგია, თქმულება, იგავ-არაკი, კომედია, ლეგენდა, ლექსი, მემუარი, მითი, მოთხრობა, მუხამბაზი, ნოველა, პოემა, პუბლიცისტიკა, რომანი, სონეტი, ტრაგედია; ტრიოლეტი, შაირი;

აბზაცი, ეპიგრაფი, ეპილოგი, თემა, იდეა, კომპოზიცია, პროლოგი, რითმა, რიტმი, სიუჟეტი, სტროფი, ტაეპი, ფაბულა, ფინალი; დიალოგი, მონოლოგი, პერიფრაზი, ციტატა;

პეიზაჟი, პერსონაჟი, პორტრეტი; ალეგორია, გაპიროვნება, ეპითეტი, ირონია, იუმორი, მეტაფორა, მოტივი, სარკაზმი, სატირა, ტროპი, შედარება, ხატოვანი თქმა, ჰიპერბოლა; მხატვრული ენა, მხატვრული სახე.

მოსწავლე უნდა ერკვეოდეს XIX საუკუნეში გავრცელებული ლიტერატურული მიმდინარეობების – რომანტიზმისა და რეალიზმის – ძირითად თავისებურებებში.

მოსწავლემ უნდა იცოდეს მწერალთა ბიოგრაფიები და ეპოქისათვის დამახასიათებელი ძირითადი ისტორიული მოვლენები (ისტორიული და კულტურული კონტექსტი).

მოსწავლეს უნდა შეეძლოს სკოლაში შესწავლილი მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებების მსგავსი უცნობი ტექსტების გაგება და გააზრება.

მხატვრული ტექსტები:

1. **ალექსანდრე ჭავჭავაძე** – ლექსი „გოგჩა“.

2. **გრიგოლ ორბელიანი** – ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ და „საღამო გამოსალმებისა“, „პასუხი შვილთა“.

3. **ნიკოლოზ ბარათაშვილი** – ლექსები: „შემოღამება მთაწმინდაზედ“, „სულო ბოროტო“, „ხმა იდუმალი“, „ვპოვე ტაძარი“, „მერნი“.

4. **ილია ჭავჭავაძე** – მოთხრობები: „მგზავრის წერილები“, „კაცია-ადამიანი?!“ „ოთარაანთ ქვრივი“; ლექსები: „პოეტი“, „ბედნიერი ერი“, პასუხის პასუხი“; პოემა „განდეგილი“.

5. **აკაკი წერეთელი** – ლექსები: „აღმართ-აღმართ“ და „ქებათა-ქება“; პოემა „გამზრდელი“.

6. **ალექსანდრე ყაზბეგი** – მოთხრობა „ხევისბერი გოჩა“.

7. **ვაჟა-ფშაველა** – ლექსები: „ღამე მთაში“, „რამ შემქნა ადამიანად“ (სიმღერა); პოემები: „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „ბახტრიონი“; პუბლიცისტიკა: „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“ (შემოკლებით).